

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან	9
6. რალიზებული საქონლის თვითღირებულება და პირდაპირი ხარჯები	10
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	10
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
9. კომერციული ხარჯები	10
10. ფინანსური ხარჯი	11
11. ძირითადი საშუალებები	12
12. ფული და ფულის ექვივალენტები	13
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
14. მარაგები	13
15. მიღებული სესხები	13
16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14
17. ბალანსის შემდგომი მოვლენები	14

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	5	7,373,437	2,588,713
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	84,961	283,666
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(6,973,881)	(2,525,829)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული			
პირდაპირი ხარჯები	6	(203,173)	(128,714)
საერთო მოგება		281,344	217,836
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	203,803	128,682
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(181,862)	(196,003)
კომერციული ხარჯები	9	(292,749)	(42,816)
საოპერაციო მოგება		10,536	107,699
ფინანსური შემოსავალი		710	-
ფინანსური ხარჯი	10	(91,719)	(116,726)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(66,622)	(43,845)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		19,682	29,308
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(13,912)	(2,622)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(141,325)	(26,186)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(141,325)	(26,186)
წლის სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(84,722)	(53,463)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(56,603)	27,277
		(141,325)	(26,186)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს.



ალექსანდრე ბენიძე
დირექტორი

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	5	7,373,437	2,588,713
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	84,961	283,666
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(6,973,881)	(2,525,829)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული			
პირდაპირი ხარჯები	6	(203,173)	(128,714)
საერთო მოგება		281,344	217,836
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	203,803	128,682
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(181,862)	(196,003)
კომერციული ხარჯები	9	(292,749)	(42,816)
საოპერაციო მოგება		10,536	107,699
ფინანსური შემოსავალი		710	-
ფინანსური ხარჯი	10	(91,719)	(116,726)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(66,622)	(43,845)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		19,682	29,308
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(13,912)	(2,622)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(141,325)	(26,186)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(141,325)	(26,186)
წლის სრული ზარალი მისაკუთვნილებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(84,722)	(53,463)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(56,603)	27,277
		(141,325)	(26,186)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს:

ალექსანდრე იმნაძე
დირექტორი

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,706,996	1,854,805	2,059,852
ბიოლოგიური აქტივები		71,163	71,164	51,398
არამატერიალური აქტივები		15,801	24,597	30,867
სხვა გრძელვადიანი აქტივები		557	521	504
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,794,517	1,951,087	2,142,621
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12	331,866	59,097	77,058
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	742,743	377,125	771,270
მისაღები პროცენტები		708	-	-
საგადასახადო აქტივი		79,885	12,082	-
მარაგები	14	666,305	244,958	460,434
სულ მიმდინარე აქტივები		1,821,507	693,262	1,308,762
სულ აქტივები		3,616,024	2,644,349	3,451,383
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,407,376	2,407,376	2,407,376
დაუფარავი ზარალი		(1,662,911)	(1,578,189)	(1,524,726)
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		744,465	829,187	882,650
არამაკონტროლებელი წილი		(29,326)	27,277	-
სულ კაპიტალი		715,139	856,464	882,650
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15	254,686	478,188	693,556
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		254,686	478,188	693,556
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	1,401,242	590,164	726,151
მოკლევადიანი სესხები	15	1,242,697	717,177	1,144,484
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	1,013
გადასახდელი პროცენტები		2,260	2,356	3,529
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,646,199	1,309,697	1,875,177
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,616,024	2,644,349	3,451,383

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018	2,407,376	(1,524,726)	882,650	-	882,650
მიმდინარე წლის მოგება	-	(53,463)	(53,463)	27,277	(26,186)
31 დეკემბერი, 2018	2,407,376	(1,578,189)	829,187	27,277	856,464
მიმდინარე წლის მოგება	-	(84,722)	(84,722)	(56,603)	(141,325)
31 დეკემბერი, 2019	2,407,376	(1,662,911)	744,465	(29,326)	715,139

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ქაპ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის დეკემბერში. შპს ქაპ ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურების უზრუნველყოფა, ღვინის წარმოება და ექსპორტი, კაკლისა და თხილის ექსპორტი. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტების ძირითადი ბაზარი ევროპაშია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205233488.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- ალექსანდრე მოწერელია - 49.00%
- სააქციო საზოგადოება COMMODITIES AND PRODUCTS INDUSTRIES-CAP Industries, საფრანგეთი - 51.00%.

შპს ქაპ ჯორჯია თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიაში წილს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „აერკომპანი“	საიჯარო მომსახურება თხილის გადარჩევა	51%

შპს ქაპ ჯორჯიაში თავის შვილობილთან ერთად (შემდგომში ჯგუფი), საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 53 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფმა გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამოწვევის და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით; 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (პირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის

კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3,2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2,5922	3,1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სასაქონლო ნიშანსა და ISO სერტიფიკატს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ბიოლოგიური აქტივები. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველად აღიარდება როგორც სასაქონლო მატერიალური მარაგი და ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარებისას მიღებული მოგება აისახება ერთიანად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვაობა ფაქტიურ სარეალიზაციო ფასსა და საწყისი აღირების ღირებულებას შორის, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალიზაციისას როგორც, მოგება/(ზარალი) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალური ღირებულების ცვლილებიდან.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანი. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან:

	2019	2018
შემოსავალი თხილის რეალიზაციიდან	7,229,166	1,699,349
შემოსავალი შავი წიწაკის რეალიზაციიდან	67,304	256,398
შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან	57,813	51,041
შემოსავალი ნიგვზის რეალიზაციიდან	-	577,517
სხვა შემოსავალი	19,154	4,408
სულ ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	7,373,437	2,588,713

ამონაგები მომსახურების გაწევიდან:

	2019	2018
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	39,504	36,669
შემოსავალი თხილის გადარჩევა-შეფუთვის მომსახურებიდან	5,351	746
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	38,771	211,525
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	-	25,424
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	1,335	9,302
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	84,961	283,666

6. რალიზებული საქონლის თვითღირებულება და პირდაპირი ხარჯები**რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

	2019	2018
გადაუმუშავებელი ნედლეულის თვითღირებულება	(6,741,668)	(2,340,768)
ზედნადები ხარჯები	(232,213)	(185,061)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(6,973,881)	(2,525,829)

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(77,123)	(92,599)
შრომის ანაზღაურება	(112,390)	(12,544)
კომუნალური ხარჯები	-	(9,301)
სხვა ხარჯები	(13,660)	(14,270)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(203,173)	(128,714)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
მოგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავდაპირველი აღირებიდან და რეალური ღირებულების ცვლილებიდან	115,025	73,534
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	86,832	51,682
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	1,946	3,466
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	203,803	128,682

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(97,354)	(104,371)
საგადასახადო ხარჯი	(32,958)	(29,479)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	(14,193)	(7,032)
კომუნალური ხარჯები	(12,085)	(26,709)
ბანკის საკომისიო	(3,233)	(3,901)
საიჯარო ქირა	-	(2,966)
მივლინების ხარჯები	-	(8,331)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(22,039)	(13,214)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(181,862)	(196,003)

9. კომერციული ხარჯები

	2019	2018
დისტრიბუციის ხარჯები	(269,971)	(22,242)
რეკლამის ხარჯები	(13,459)	(8,897)
სხვა მიწოდების ხარჯები	(9,319)	(11,677)
სულ კომერციული ხარჯი	(292,749)	(42,816)

10. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
საკრედიტო ხაზის პროცენტის ხარჯი	(36,722)	(53,275)
სხვა სესხების საპროცენტო ხარჯი	(54,997)	(63,201)
სხვა	-	(250)
სულ ფინანსური ხარჯი	(91,719)	(116,726)

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
1 იანვარი, 2018	279,415	1,394,405	786,263	65,189	85,032	26,570	38,802	2,675,676
შესყიდვები	-	8,378	4,535	6,185	1,942	6,572	8,816	36,429
რეალიზაცია	(40,250)	-	(103,781)	-	-	-	(31,453)	(175,484)
31 დეკემბერი, 2018	239,165	1,402,783	687,017	71,374	86,974	33,142	16,165	2,536,621
შესყიდვები	-	-	683	1,392	4,955	4,095	3,960	15,085
რეალიზაცია	(39,858)	-	-	-	-	-	-	(39,858)
31 დეკემბერი, 2019	199,307	1,402,783	687,700	72,766	91,929	37,237	20,125	2,511,848
ცვეთა								
1 იანვარი, 2018	-	(257,394)	(234,674)	(45,392)	(47,935)	(22,260)	(8,170)	(615,824)
წლის დარიცხვა	-	(57,732)	(45,590)	(8,108)	(9,252)	(1,552)	(3,449)	(125,683)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	53,949	-	-	-	5,741	59,690
31 დეკემბერი, 2018	-	(315,126)	(226,314)	(53,500)	(57,187)	(23,812)	(5,878)	(681,816)
წლის დარიცხვა	-	(57,846)	(44,608)	(7,292)	(8,916)	(2,175)	(2,199)	(123,036)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(372,972)	(270,922)	(60,792)	(66,103)	(25,987)	(8,077)	(804,852)
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი, 2018	279,415	1,137,011	551,589	19,797	37,097	4,310	30,632	2,059,852
31 დეკემბერი, 2018	239,165	1,087,657	460,703	17,875	29,788	9,330	10,287	1,854,805
31 დეკემბერი, 2019	199,307	1,029,811	416,778	11,975	25,827	11,250	12,048	1,706,996

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	-	-	2,061
ფული ბანკში	331,866	59,097	74,997
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	331,866	59,097	77,058

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	585,385	348,062	610,745
გაცემული მოკლევადიანი სესხები	102,755	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	19,729	6,184	74,788
მოკლევადიანი ავანსები	34,874	22,879	85,737
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	742,743	377,125	771,270

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მზა პროდუქცია	596,111	191,817	389,787
სხვა მარაგები	49,124	20,536	23,898
დაუმთავრებელი წარმოება	14,465	18,122	28,593
ნედლეული და მასალები	6,605	14,483	18,156
სულ მარაგები	666,305	244,958	460,434

15. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	7%	254,686	374,935	486,843
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	13%	-	103,253	206,713
სულ გრძელვადიანი სესხები			254,686	478,188	693,556

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მოკლევადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	7%	147,017	127,760	115,518
საკრედიტო ხაზის ვალდებულებები	დოლარი	7%	690,555	479,226	935,443
იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	დოლარი	7%	294,500	-	-
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	13%	110,625	110,191	93,523
სულ მიღებული სესხები			1,242,697	717,177	1,144,484

16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები	625,093	17,072	352,919
სავაჭრო ვალდებულებები	622,065	386,226	229,678
გადასახდელი ხელფასები	152,853	186,866	143,554
სხვა ვალდებულებები	1,231	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,401,242	590,164	726,151

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტში მომავალი ეფექტების წინასწარ დადგენა შეუძლებელია. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, შესაძლო ეფექტების შესამსუბუქებლად.